სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი ბაზრის კვლევის შესახებ

მოგესალმებით,

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი გეგმავს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქ ზუგდიდში, ჯანაშიას ქუჩის N5-ში მდებარე საფეხბურთო სტადიონის მშენებლობისათვის არსებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად მოდერნიზაციის/ადაპტაციის მომსახურების შესყიდვას.

შესყიდვის პროცედურების ჩატარების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია განისაზღვროს შესყიდვის ობიექტების (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოდერნიზაციის/ადაპტაციის მომსახურება) **სავარაუდო ღირებულება და მომსახურების გაწევის სრული ვადა.**

აღნიშნულიდან გამომდინარე, თანდართული ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული გასატარებელი ღონისძიებების შესაბამისად, გთხოვთ, **არაუგვიანეს 2020 წლის 31 დეკემბრის 18:00 საათისა**, წარმოადგინოთ თქვენი წინადადებები სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N150) მატერიალური სახით (ნაბეჭდი ვერსია), ან ელ. ვერსიის სახით, შემდეგ ელ. ფოსტებზე: djikia@mdf.org.ge ; mbochorishvili@mdf.org.ge .

დანართი: ტექნიკური დავალება 5 (ხუთი) ფურცლად.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის